პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 224 (10 143) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

25-26 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში
პირველად ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი
ქართულ ჭიდაობაში
დასაწყისი 12 საათზე და 18 საათზე





## ჩამოვედით პირველსავე დაძახილზე

ისინი ორნი არიან: ელი მიხელაშვილი და შალვა ზონენაშვილი. ორივე გუშინ ჩამოვიდა თბილისში ისრაელიდან ქართულ ჭიდაობაში მოახლოებულ შეჯიბრებასთან დაკავშირებით.

● თქვენი მოჭიდავეებიდან ვინ გვეწვევა და როდის?

შალვა ზონენაშვილი (მწვრთნელი, საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში): ისრაელში ცნობილი ფალავნები არიან რობიზონ ქონაშვილი და ემზარ სეფიაშვილი. ისინი უკეთ იცნობენ ქართულ ხასიათს, გავითვალისწინეთ ისიც, რომ რაინდული ორთაბრძოლის — ქართული ჭიდაობის სამშობლოში ვიყავით მოწვეული, ამიტომ შევჩერდით საუკეთესო სპორტსმენებზე. ჩვენი მოჭიდავეები შეფერხდნენ ბუქარესტში, მე და ელის კი თბილისში კერძო მოწვევა გვქონდა და ამით ვისარგებლეთ. დავწინაურდით, რათა აქედან დაგვეჩქარებინა სპორტსმენთა ვიზის საკითხთან წამოჭრილი პრობლემის გადაჭრა.

● როგორ აღიქვეს ისრაელში ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე გასვლის იდეა?

ელი მიხელაშვილი (დელეგაციის ხელმძღვანელი, ისრაელში ქართველ ებრაელთა საზოგადოების კავშირის თავმჯდომარე): ეს უსაზღვროდ სასიხარულო ცნობა იყო ჩვენთვის. პირველი ამბავი რუსთაველის თეატრის მსახიობებმა გ. გეგეჭკორმა და კ. საკანდელიძემ ჩამოიტანეს აკაკი ნინიაშვილის თხოვნით. ეს ყოფილა საქართველოს სპორტსახკომის დავალება, რომ ქართული ჭიდაობის წესები და ჩოხები (ნიმუშისათვის) დაეგზავნათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენ ყველას გვჯერა, ქართული ჭიდაობა უთუოდ მოიპოვებს მსოფლიო აღიარებას. ჩათვალეთ, რომ ჩვენც, მთელი ქართველი ებრაელობა ამ ჭაშვილიშვილო საქმეს თქვენთან ერთად აკეთებს; ყველაფერში მხარში ამოგიდგებით.

● სტუმრებმა უნდა იმსაჯონ კიდეც, თქვენგან ვინ იკისრებს ამ მისიას?

შ. ზონენაშვილი (ჯიბიდან სსრ კავშირის სპორტის ოსტატის მოწმობას იღებს, რომელიც 1965 წელს მიუღია საქართველოში): სპორტის ოსტატი გავხდი კლასიკურ ჭიდაობაში, ქართული ჭიდაობის მადლს კი თავის დროზე ქუთაისში ვეზიარე. მუდამ სიყვარულით ვიგონებ ჩემს მასწავლებელს ილია ბობოხიძეს. ბევრჯერ გამოვსულვარ შეჯიბრებებში, მაგრამ არასოდეს მიმსაჯია. დღეიდან უკვე შევუდექი მეცადინეობას, კარგია რომ ასპარეზობის წინ სპეციალური სემინარები ტარდება მსაჯებისთვის.

● ვწუხვართ, მგზავრობაში სიძნელეები შეგხვედრიათ...

ე. მიხელაშვილი: სადაც საქმე კეთდება იქ მუდამაა სიძნელეები, მაგრამ ჩვენ აქ ისეთი სიყვარულით და ისეთი სურვილით მოვდიოდით, ყოველგვარ სიძნელეებს გადავლახავდით. მთავარია, ჩვენს საქართველოში, ჩვენს ხალხთან პირველსავე დაძახილზე ჩამოვედით. ბედნიერები ვართ, რომ ქართული ჭიდაობის ზეიმზე თქვენს გვერდით ვიქნებით.

ესაუბრა თ. თომაშვილი.

* * *



სურათზე: შალვა ზონენაშვილი (მარცხნივ) და ელი მიხელაშვილი „ლელოს“ რედაქციაში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს სპორტსახკომში

# საერთო ინტერესების გათვალისწინებით

## დღის წესრიგშია ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხი

ფეხბურთი მუდამ იყო და, ვფიქრობთ, მუდამ იქნება ფართო საზოგადოებრიობის ინტერესის საგანი. გარდაქმნა-საჯაროობის პროცესში ბევრი შეხედულება შეიცვალა, ბევრი ღირებულება გადაფასდა, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, საერთოდ სპორტში და, კერძოდ, ფეხბურთშიც. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენს გაზეთში, „კომუნისტში“, ახალგაზრდული გაზეთების ფურცლებზე, სატელევიზიო გადაცემებში გამართული დიალოგები, ამ საუბრების დროს გამოთქმული მოსაზრებები... ცხადია, გასაკვირი არ არის, რომ ჩვენმა საზოგადოებრიობამ ყველაზე მეტი ინტერესი საქართველოს საფეხბურთო ცხოვრების მიმართ გამოიჩინა.

დადგა დრო, ქართულ ფეხბურთში რადიკალური ცვლილებები მოხდეს, მაგრამ ყველაფერი წინდახედულად, დინჯად და გონივრულად უნდა აიწონ-დაიწონოს. რაც მთავარია, გადაწყვეტილება წინ უნდა უსწრებდეს მოვლენებს, უნდა განვჭვრიტოთ ხვალინდელი დღეც და უფრო შორეული მომავალიც. გადაწყვეტილებამ კი საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს სპორტულ სუვერენიტეტს. სწორედ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა საქართველოს სპორტსახკომში გამართულ საგანგებო თათბირზე, რომელზეც მიიწვიეს ფეხბურთის სპეციალისტები, სოციოლოგები, სპორტული საზოგადოებებისა და ჟურნალისტთა ფედერაციის ხელმძღვანელები. კარგია, რომ ეს შეხვედრა საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელთა თაოსნობით შედგა. ცხადია, ასე უფრო დაჩქარდება იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვენ გადაჭრას.

თათბირმა დღის წესრიგში წამოწია ხუთი ძირითადი პრობლემა. სულ ბოლო იყო მთავარი საკითხი: საჭიროა თუ არა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება? აზრთა ურთიერთგაზიარება, სწორედ ამ ბოლო საკითხიდან დაიწყო, რადგან არსებითად მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, გაიხსნებოდა თუ არა საჭირო დანარჩენ ოთხ საკითხზე მსჯელობა. თათბირის მონაწილეებმა ყოველმხრივ გააანალიზეს ყველა წინადადება. გაითვალისწინეს ისიც, რომ ცენტრი ჯერჯერობით არ თანხმდება და ალბათ არც დათანხმდება იმას, რომ II ლიგის ერთი ზონა მთლიანად საქართველოს გუნდებს მისცეს, უამისოდ კი (თუ ჩემპიონი საკავშირო ლიგაში არ გადავა), სპეციალისტთა ერთი ჯგუფის რწმენით, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი სტიმულს დაკარგავს. მაგრამ გამოითქვა ის აზრიც, რომ თუ ავამაღლებთ ეროვნული ჩემპიონატის ღირსებას და ავტორიტეტს, თუ გამოვნახავთ როგორც გამარჯვებული და პრიზიორი გუნდების, ისე საუკეთესო ფეხბურთელების მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებს, ასპარეზობა გაამართლებს. ეს წინადადება წამოაყენეს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობამ და სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ.

არ არის დასამალი: რესპუბლიკა ფულს იხდის იმაში, რომ საკავშირო გათამაშების II ლიგაში მონაწილე საქართველოს გუნდებმა ერთმანეთში ითამაშონ. ცხადია, დიდი ხარჯები სჭირდება რესპუბლიკის გარეთ დაგეგმილ მატჩებს, ამასთან ისინი ყოველთვის არ ტარდება სათანადო დონეზე და ბევრს არაფერს აძლევს ჩვენს ფეხბურთს. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პრესტიჟი და ავტორიტეტი ისე უნდა ამაღლდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო პირველობებში მოთამაშე გუნდებმაც მასში მონაწილეობა არჩიონ.

ახალ ჩემპიონატში იასპარეზებს II ლიგის 8 და საქართველოს პირველობის 10 საუკეთესო გუნდი რეგიონების მიხედვით. ჯერჯერობით ასეთია წინადადება.

ყოველი საფეხბურთო სეზონის ბოლოს შეიძლება ჩატარდეს „დამოუკიდებლობის თასის“ გათამაშება საქართველოს ყველა საუკეთესო გუნდის მონაწილეობით. წამოიჭრა აგრეთვე სხვა წინადადებები.

თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ: მოიწონონ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეა და მიმართონ ფართო საზოგადოებრიობას, გამოთქვას თავისი აზრი, წამოაყენოს კონკრეტული წინადადებები ჩემპიონატის უკეთ ორგანიზაციისა და მისი ავტორიტეტის ამაღლებისთვის. გადაწყდა, რომ „ლელოს“ ფურცლებზე გაიმართოს დისკუსია ამ საკითხზე.

თათბირს უძღვებოდა და მისი შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ.

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ქართულ ჭიდაობაში პირველ საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩატარდება პარასკევს, 24 ნოემბერს, 19 საათზე, სპორტის სასახლეში.

## შტაბის სხდომაზე

**როგორც ცნობილია, გაისად სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში ტარდება მოსწავლეთა მორიგი საკავშირო სპარტაკიადა.**

საქართველოს სპორტსმენები კარგა ხანია შეუდგნენ სეზონის ამ უმნიშვნელოვანესი კომპლექსური შეჯიბრებისათვის სამზადისს. ჩვენ სახალხო განათლების სამინისტროში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელიც განიხილავს მზადების მიმდინარე საკითხებს, არკვევს პრობლემებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

გუშინ შტაბის სხდომაზე მოისმინეს ინფორმაციები წყალში მხტომელთა, აკრობატთა და ტყვიის მსროლელთა მზადების მიმდინარეობის თაობაზე და იქვე დაისახა პრობლემათა გადაჭრის გზები.

### წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ძიუდოში — თეიმურაზ მჭედლიშვილს (ახმეტა, პროფკავშირები), ლერი ყორყოლიანს (მარნეული, პროფკავშირები), რომან უძილაურს (ახმეტა, პროფკავშირები), გიორგი ახალკაცს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), ივანე ჭინჭარაძეს (თბილისი, „დინამო“), ბესიკ გიორგაშვილს (გორი, პროფკავშირები), (ვარლამ კიბორძალიძეს (ქუთაისი, „დინამო“), ირაკლი უზნაძეს (თბილისი, „დინამო“);

ტყვიის სროლაში — ოლეგ ოგოლენკოს, ზურაბ ტოტიაურს (ორივე — თბილისი, შეიარაღებული ძალები).

სსრ კავშირი — კანადა

## „სპორტი ყველასათვის“ — ახალი სტარტი!

ასეთია სსრ კავშირისა და კანადის ქალაქებს შორის საერთაშორისო შეჯიბრების დევიზი. ეს ამბავი კარგადაა ცნობილი ჩვენი მკითხველისთვის, რადგან შეჯიბრება წელს მეორედ ტარდება. ამჯერად იგი დაემთხვა სსრ კავშირში კანადის პრემიერ-მინისტრის ბ. მალრუნის ვიზიტს. ეს ასპარეზობა გუშინ დაიწყო. მასში ამჯერად მონაწილეობენ ორივე ქვეყნის 11-11 ქალაქი. ფორმულა ასეთია: ერთი ქალაქი ეჯიბრება მეორეს. მთავარია არა სპორტული შედეგი, არამედ ფიზიკური აქტივობა, მასების გაჯანსაღება.

დაუსწრებელი შეჯიბრების ღონისძიებებში შედის აგრეთვე კულტურული ურთიერთობები, ორი ქვეყნის ხალხები უკეთ გაეცნობიან ერთმანეთს, ღრმავდება სახალხო დიპლომატია, რასაც დღეს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ ღონისძიებაში მონაწილე ერთ-ერთი ქალაქია ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭიდაობა ჩვენი, ქართული

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი:

## „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“

**სოფელში** დიდხანს ვცხოვრობდი და მახსოვს წინათ როგორ ხვდებოდა სოფელი გაზაფხულს, მუშაობის გარდა გაზაფხულზევე იწყებოდა სახალხო დღეობანი, თავყრილობანი.

პირველი მერცხალი ყველიერი იყო, ამ დროს იწყებოდა სპორტული შეჯიბრებანი: ჩალიჩი (ლახტი), დამიკარი, სიმძიმეების აწევა (საჭიდაო ქვის აწევა)... ყველიერს მოსდევდა აღდგომა-ამაღლების (აპრილი-მაისი) დღეობები, აქ უკვე ჩაღდებოდა ჭიდაობა, დოღი, მიზანში სროლა, გაკვრა ბურთი.

უბანი უბანს ეჯიბრებოდა, სოფელი—სოფელს, ხეობა —ხეობას, ყველა ცდილობდა, რომ პირველი ყოფილიყო, მაგრამ სინდისს არ გაჰყიდდნენ და რაც არ ერგებოდათ, არ შეირგებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კავთურის ხეობაში ცხოვრობდა გიორგი ხიზამბარელი, კაცი ლეგენდად ქცეული, წაუქცეველი. მაგრამ ერთ-ერთ დღეობაში, მცხეთაობას, ათოლა გლდანელთან ჭიდაობის დროს ამ უკანასკნელის ქომაგებმა (გურამიშვილებმა, რომელთა საბატონო კუთვნილება იყო სოფელი გლდანი) ათოლა გამარჯვებულად გამოაცხადეს ხიზამბარელთან შერკინებაში. „ეს როგორ?“ გაოცდა ხიზამბარელი. „არა უშავსრა, გიორგი, დღეობა კიდევ მოვა“... დაამშვიდეს მეგობრებმა და გახადეს საჭიდაო ჩოხა.

მაშ, როგორ, დღეობაში ჩხუბს ხომ არ ატეხდნენ. არც უჩხუბიათ, სამაგიეროდ სუფრა გაშალეს და მოილხინეს.

ასეთი იყო ეს ლეგენდა-ფალავანი ცხოვრებაში, აქ კარგად ჩანს მეტოქისადმი მისი დამოკიდებულება. ალალი კაცი მაინც გაიმარჯვებს, მოვა ახალი დღეობა და მაშინ ვნახოთ.

ხიზამბარელმა ახალ დღეობას არ დაუცადა, თბილისში ჩავიდა და იმ დროს ამიერკავკასიაში მეფის ნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ ორბელიანს ეახლა: „ან მაჭიდავეთ ათოლასთან, ან არა და საქართველოდან გადავიხვეწებიო“.

ორბელიანს ფალავნები უყვარდა. ჭიდაობა მოეწყო, ხიზამბარელმა ათოლა მოიკიდა, წრე შემოატარა და გურამიშვილების წინ დაანარცხა. ასე იყო, უსამართლობას სამართლიანობას დაუპირისპირებდნენ და სიმართლეს აღადგენდნენ.

დღეობას ხალხი დილიდანვე ელოდა — დღეს „გედახის“ ბიჭი დირბელს უნდა ეჭიდაოს, შარშან რომ წააქცია, სწორედ იმასო“, უნდა გარკვეულიყო მართლა ვინ ვისა სჯობდა. კეტების ტრიალით გმირს თავის სახელი არასდროს აღუდგენია და ვერც აღიდგენდა.

ეს იყო ქართული შეჯიბრების წესი და ტრადიცია, ძალიან კარგი ტრადიცია.

ჩვენი მაყურებელიც ყოველთვის იყო პირუთვნელი და მიუკერძოებელი, რასაკვირველია, უყვარდა თავისი თანამემამულის გამარჯვება და ლამაზი გამოსვლები, მაგრამ მოწინააღმდეგესაც დიდი პატივისცემით ეკიდებოდა. აი, ჩვენებური სპორტის დიდი ხნის მაყურებელი ვარ და ყოველთვის კმაყოფილების გრძნობით მივდიოდი შინისაკენ, მაშინაც კი, როდესაც ჩვენი გუნდი დამარცხდებოდა. შეჯიბრებაში ხომ ერთ-ერთი უნდა დამარცხდეს. როდესაც ხედავ, რომ დამარცხებულმა ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ ვერას გახდა, რა გეთქმის.

ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. სპორტში ეს აქსიომაა და მაყურებელმაც უნდა იცოდეს... ჩვენი სახელოვანი ფალავნების ტრიუმფალური გამოსვლების გამო არა ერთხელ დავრწმუნებულვარ იმაში, რომ თანამედროვე ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებს — კლასიკურს, თავისუფალსა და ძიუდოს ის „ნაკადულები“ ასაზრდოებს, ზოგი კი მთლიანად დაფუძნებულია ქართულ ჭიდაობაზე, რომელსაც საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. იგი ჰკვებავს დიდ სპორტს ქართული ეროვნული ელემენტებით, ამაშია ჩვენი ჭიდაობის ძალა.

ქართული ჭიდაობის მადლი განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა ძიუდოისტთა გამოსვლებში. მრავალგზის გვინახავს, ჩვენს ბიჭებს ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში რა მოხერხებულად გადმოუღიათ მეტოქე „კვრულით“ და წერტილი დაუსვიათ მძიმე ორთაბრძოლისათვის და უმაღლეს ტიტულებს დაუფლებიან.

თვალს თუ გადავავლებთ ჩვენი ჭიდაობის წარსულს, იმასაც დავინახავთ, რომ მსუბუქ ფალავანს ხშირად დაუმარცხებია მასზე გაცილებით მძიმე მეტოქე. ახლანდელ კიროვის პარკში (მაშინ ვერის სასაფლაო იყო), კარგა დიდ მინდორზე, მტკვარს რომ დასცქეროდა, ჭიდაობა იმართებოდა, მაშინ თბილისის სხვა უბნებიდანაც მოდიოდნენ (ნაძალადევიდან, კუკიიდან, ხარფუხიდან, დიდუბიდან) და ეს ნამდვილად მთელი თბილისის ფალავნების შეჯიბრება იყო. გამოირჩეოდნენ ნაძალადეველები (პატარა ნახალოვკელი), მაგრამ ვერელებთან ვერ მოდიოდნენ. მეთაურობდა ც. კახნიაშვილი (შაშო ვერელი). ირაკლი ციციშვილი, ირაკლი ვაჩნაძე, პატარა ვერელი თბილისის მოჭიდავეთა მშვენება იყვნენ. ამ დროს ზეიმობდა ხალხი, ნამდვილი დღეობა იყო, მით უმეტეს, როდესაც ზუბიაშვილების ჩედუდუკთა დასტაც უკრავდა. ეს ჭიდაობა იმდენად პოპულარული იყო, რომ სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ ფალავნები. ერთხელ ბაქოდან ირანელი ჩამოვიდა, ზედიზედ დაამარცხა ჩვენი საყვარელი მოჭიდავეები, ბოლოს შაშომ ისაზრა: „ირაკლი მომიყვანეთო“, მართლაც ირაკლი ვაჩნაძე მოიყვანეს. იგი მერვეკლასელი გიმნაზისტი იყო, 20-21 წლის, მასზე ლამაზსა და ტანად ვაჟკაცს ვერ ინატრებდი. შაშო დიდხანს ეჩურჩულა, არწმუნა, დაარიგა... და აი, მართლა გავიდა ირაკლი წრეში. ირანელმა არად ჩააგდო ახალგაზრდა, გამოქანდა მისკენ, ირაკლიმ ელვის სისწრაფით ჩაავლო მკლავში ხელი, დასწია, წამოიკიდა და გაშალა მიწაზე.

ქართული ჭიდაობისათვის დამახასიათებელი სწორედ ეს მოულოდნელობა გახლავთ, როცა მეტოქე იგრძნობს მოწინააღმდეგის წუთიერ, თუნდაც წუთის მეასედით გამოთიშვას და ამით ისარგებლებს.

ძველად წონითი კატეგორიები არც კი იცოდნენ — ფახდი უნდა ყოფილიყო, გრამებს არავინ ითვლიდა.

ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული საუნჯეა და იგი ისეთივე განძია, როგორიც ქართული ფოლკლორი, ხუროთმოძღვრება და სხვა საუნჯენი. მარტო ის რად ღირს, რომ ნამდვილ ჭიდაობას არც მსაჯი ესაჭიროება, მსაჯია თვითონ წაქცეულიო, რომელიც წამოდგება და ხელს გამოგიწვდის.

ხშირად მსაჯის მოვალეობას ხალხი ასრულებს, მის შეძახილს „არის“, „არ არის“, დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. სავსებით საკმარისია გამარჯვებულისა და დამარცხებულის გამოსავლენად...

## შეხვედრა ქართველ ფალავნებთან

**ჭიდაობის** ქართული სკოლის ტრიუმფატორებთან, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს თითქმის ყველა ჩემპიონთან საზოგადოების ისეთი შეხვედრა, როგორიც ამ დღეებში გორის ეკონომიკური ინსტიტუტის საქტო დარბაზში შედგა, ვფიქრობთ, უნიკალურია ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში.

ამ დღეს გორს ეწვივნენ ქართველი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონების ყველა თაობის წარმომადგენელი ფალავნები, ისინი, ვისი სახელებიც დიდების შარავანდედითაა მოსილი ქართული ეროვნული სპორტის ისტორიაში, ისინი, ვისაც ათეულ წლების განმავლობაში თავიანთი მაღალი ოსტატობით და შემართებით განცვიფრებაში მოჰყავდათ მაყურებელი ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში, მათ შორის იყვნენ: ოლიმპიური თამაშების პირველი ქართველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში დავით ციმაკურიძე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, ლეგენდარული გივი კარტოზია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძე, ოლიმპიური თამაშების პირველი საბჭოთა ჩემპიონი ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონები ძიუდოში შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური, გიორგი სხირტლაძე, გურამ საღარაძე, შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი, მიხეილ ჩალაძე, ვახტანგ ბლაგიძე, თეიმურაზ აფხაზავა, თეიმურაზ ყაზარაშვილი, იოსებ მალალაშვილი, გენადი გიორგაძე, კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი.

მართლაც და რა საამაყოა, რომ ქართული ჭიდაობის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილმა 29 ფალავანმა მოიპოვა ჭიდაობების ყველა სახეობაში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობების უმაღლესი ტიტული. ალბათ გაგვიჭირდება ზუსტად გამოვთვალოთ რამდენჯერ ავიდნენ ჩვენი მოჭიდავეები გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ევროპის პირველობებზე, უნივერსიადებზე, საერთაშორისო ტურნირებზე და სპორტული საზოგადოებების პირველობებზე.

ფალავნებმა ამ შეხვედრაზე თავიანთი მდიდარი სპორტული ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები გაიხსენეს, მეტად თბილი შეხვედრისათვის მასპინძლებს მადლობა გადაუხადეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. ბალავაძემ, შ. ჩოჩიშვილმა, გ. საღარაძემ, ლ. ბაბილოვმა.

სტუმრებს მიესალმნენ გორის ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გედეონ ხელაძე, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი.

**ბიჭი ხაჩიძე,**
**დოცენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი.**







აკაკი წერეთელი

## ჭიდაობა

**გამოვიდა** მოედანზედ ორი მოჭიდავე, ერთი გორელი და მეორე კახელი. ორივე მეტად გაკურატებული.

ახედ-დახედეს ერთმანეთს, აითვალისწუნეს ერთმანეთი და შეექმნათ შული.

— გეყოფა ამდენი ფალავნობა შენო. დღეის იქით ჩვენც ვიყოთ, ჩამოდექი, გზა მომეციო! — უთხრა გორელმა.

თუ წყალობასა მთხოვ, გუდა ზურგზედ უნდა გედოსო და თუ მუქარით მოდიხარ, იარაღი ხელში უნდა გეჭიროსო! — მიუგო კახელმა.

— ეჰ, მაშ კარგი, რადგანაც ნებით არა გვშორდები, მაშ ძალაზედ შედგეს საქმე, კახელო!

— კეთილი და პატიოსანი, ჩემო გორელო, მაგრამ მე „ვერ მიცანი“ მქვიან! არ გაგიგონია, რომ ჩემმა ძველმა თავი გამოიჩინაო?

— მე კი გამიგონია, მაგრამ შენც კი უნდა გქონდეს ჩემი ძველების ამბავი შეტყობილი. ძველათ ხერხი ვისი ქებულა, თუ არა მათი?

ამ გვარ უტიფარ სიტყვებით ერთმანეთი არკი გააჯავრეს! ქართლელი მშვიდობიანია, სანამ არ გააჯავრებ; მაგრამ თუ გახურდა, ვერძივით იცის დაჯახება. კახელი ძლივს დაზოზმანობს, მაგრამ თუ ერთი გასწია კამბეჩივით, ძნელად და შეიძლება მისი დამაგრება!

შეჰხურდნენ ფალავნები და შეუტიეს ერთმანეთს. საქმე შველაზედ მივარდა.

დასწერა კახელმა წიგნი, მაგრამ რა წიგნი? ოთხი პწკარი (სტრიქონი) ოთხ დღეს სწერა, ისე მოფიქრებით გაისარჯა და გაუგზავნა კახელებს:

— „ძმა ძმისთვის და ამ დღისთვისო! გაჭირვების დღე მადგას და აბა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ, თუ მომეშველებითო. იდგეთ, ნულარ დაჯდებით და იჯდეთ ნუ დაწვებით, ისე გამოეშურეთ აქეთკენაო, სხვა თუ ვეღარა მოახერხოთ რა რაც თავ-თავი ბიჭები ხართ, სულ ფეხ-ფეხ წამოდითო!“

კეთილი და პატიოსანიო, შემოუთვალეს, მაგრამ ფეხ-ფეხობა რა გასაჭირიაო? აქ არა გვყავს მამა-პაპის ეტლებიო!.. ურმები მზათა გვყავს, კამეჩებს შევაბამთ, შოლტსაც ხელში ავიღებთ, ერთ ტპპრუს დავსძახებთ და ქალაქში ჩამოვრიხინდებითო!!!

ეს ამბავი რომ გაიგო გორელმა, იმანაც აიღო კალამი ხელში და მიუწერა თავისიანებს:

„მეც მომეშველეთო!.. თუ სხვა დაგირჩესთრა, ქვეით წამოდითო.— „ბატონი ბრძანდებითო, შემოუთვალეს, მაგრამ ქვეითობა რა საჭირო არისო? ე დალოცვილი მტკვარი მანდეთ არ მოდის?! ტივებს ვიშოვნით, დავსხდებით, ლაზათიანად ერთსაც მოვუსვამთ და ქალაქში ამოვყოფთ თავსაო!“

დაიმედნენ მოჭიდავენი, დანიშნეს დღე; მაგრამ მომხრეები კი არსადა სჩანდნენ; თურმე რა მოუვიდათ: კახელებს ამ სიცხეში კამბეჩები გზაზედ უწვებოდა და გზას უძრძელებდნენ და ქართლელებს კი უფრო უცნაური საქმე მოუვიდათ: გორში თურმე ერთი სომეხი იყო, ტივების წამოღება უნდოდა ქალაქში ჩამოსატანად, მაგრამ დიდ ქირასა სთხოვდნენ და ფულს ვერ იმეტებდა. რომ გაიგონა ქართველები ტივებს ეძებენო, მიაქირავა მათ და არა თუ მუქთათ წამოაღებინა ტივები, ქირაც გადაახდევინა. ტივებით მიმავალს ქალაქს გარეთ ცუნცულაძე დაუხვდა და რომ დაეჩქარებინა, მიაძახა მეტივეებს: — აბა, ბიჭებო, ჩქარა მოუსვით, ჩქარაო! იმათ მოუსვეს და თავი კი ვეღარ მოუკავეს! გამოქანდნენ ტივები ნიშადურიან სახედრივით და თბილისს გასცილდნენ! დღესაც თურმე კასპიის ზღვაში დატივტივობენ...

დაღონდნენ კახელები და შეწუხდნენ ქართლელები, მაგრამ რაღა გზა ჰქონდათ; მომხრეებს ვეღარ საიდამ ხედავდნენ, რაც იყვნენ, უნდა დაკმაყოფილიყვნენ.

წინა ღამეს ქართლელებმა ცხვრები დაჰკლეს, კახელებმა ტიკები დახსნეს; პირველებს ხორაგი ჰქონდათ ბევრი, მეორეებს ღვინო. იფიქრეს: ეს ჩვენი ლხინი ცალ-ცალკე ცალფეხობა იქნებაო და მოდი ერთი ვქნათო: ეს ჩვენი ღვინო მაგ თქვენს ცხვრებს შეუერთოთ და ერთად ძმობის პური ვსჭამოთო!

დათანხმდნენ, დასხდნენ, გათენებამდინ იქეიფეს, შერიგდნენ და მეორე დღეს ხელი-ხელ გადახვეულნი გამოვიდნენ მოედანზედ. ეს რომ გორელმა ფაჰლავანმა დაინახა, მოვიდა კახელთან და უთხრა:

— რადგანაც ბედიც შენსკენ ყოფილა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მე შენ აღარ გეჭიდავებიო. ეს ბურთიც და ეს მოედანიც ღმერთმა შენ მოგახმაროსო!!! გადაჰკოცნა და გაშორდა.

მაყურებლებმა გაიცინეს და სთქვეს: „ესე სჯობიან, ამ სიცხეში რა დროს ჭიდაობა იყოო“ — და დაიშალენ...

„დროება“, 1876 წ. 28 მაისი (№50).

პუბლიკაცია მოამზადა **ხულიკო ნუცუბიძემ.**

# საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„არაგვი“ (დუშეთი) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი). გოლები: ხოსრიაშვილი („არაგვი“), ჯლარკავა, აბშილავა („მზიური“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 2:1. მსაჯი ლ. მგელაძე (თბილისი). გოლები: შონია, ქურცაძე (ფიზკ. ინსტ.), დვალიშვილი („სულორი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: აფციაური-2 („არმაზი“), ჯიქია („დინამო“).

„ივერია“ (ხაშური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: ჩადუნელი, რობაქიძე („ივერია“), შამუგია, გაბისონია („ამირანი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:3. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი). გოლები: თედეშვილი-2 („ბახტრიონი“), წიქარიშვილი, ჯანაშია, სუხიაშვილი („შადრევანი“).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0:1. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი). გოლი: ტუკვაძე („საპოვნელა“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სიონი“ (ბოლნისი) 6:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ხარებავა, შენგელია, ქარჩავა-3, კოდუა, („სამეგრელო“), ლაზარევი („სიონი“).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ა. წერეთელი (თბილისი). გოლები: ხუციაშვილი, ნასუაშვილი (პოლ. ინსტ.), ხორხელი-2 (ფიზკ. ინსტ.).

„არაგვი“ (დუშეთი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:3. მსაჯი თ. ხოფრომაძე (თბილისი). გოლები: ხუციშვილი-2 („არაგვი“), ძევაშვილი, ყაჩლავაშვილი, სონღულაშვილი („არმაზი“).

ზესტაფონში სათამაშოდ არ გამოცხადდა ცხინვალის „სპარტაკი“. დებულების თანახმად ცხინვალელებს წაგება ჩაეთვალათ.

## II ჯგუფი

### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„გარისი“ — „მიონი“ 0:0, „ჰერეთი“ — „ალაზანი“ 1:3, „თრიალეთი“ — „კოლმეურნე“ 2:2, „კახეთი“ — „ქიზიყი“ 2:1, „სამგორი“ — „სინათლე“ სპორტ. ინტ. 2:1, თსუ — სპი (მუხრანი) 1:2.

### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ჩხერიმელა“ — „აბული“ 3:0, „მამისონი“ — „განთიადი“ 8:5.

### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი“ — „ჩიბათი“ 2:2, „ოდიში“ — „ფაზისი“ 3:2, „სალხინო“ — „მენავთობე“ 1:1, პოლ. ინსტ. (ქუთაისი) — „ბახმარო“ 3:2, „ეგრისი“ — „ხვამლი“ 3:0, „ნარინჯი“ — „ზანა“ 4:1.

## გათამაშების ცხრილი

## I ჯგუფი

მდგომარეობა 25 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 37 | 22 | 11 | 4 | 79-39 | 55 |
| „დინამო“ ზ. | 35 | 20 | 4 | 11 | 90-45 | 44 |
| „ამირანი“ | 37 | 15 | 13 | 9 | 71-49 | 43 |
| „ივერია“ | 37 | 16 | 9 | 12 | 60-52 | 41 |
| „მზიური“ | 37 | 16 | 9 | 12 | 59-52 | 41 |
| „სპარტ.“ | 37 | 18 | 4 | 15 | 68-45 | 40 |
| „სქური“ | 37 | 15 | 8 | 14 | 54-61 | 38 |
| „სამეგრ.“ | 37 | 17 | 3 | 17 | 61-70 | 37 |
| „მეტალ.“ | 37 | 14 | 9 | 14 | 65-60 | 37 |
| „მაღარ.“ | 37 | 14 | 9 | 14 | 49-51 | 37 |
| „სულორი“ | 37 | 13 | 11 | 13 | 53-53 | 37 |
| „არმაზი“ | 36 | 11 | 14 | 11 | 42-45 | 36 |
| „დურუჯი“ | 36 | 16 | 3 | 17 | 57-88 | 35 |
| „სიონი“ | 37 | 13 | 9 | 15 | 82-87 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. | 37 | 13 | 9 | 15 | 68-67 | 35 |
| „დინამო“ გ. | 35 | 15 | 4 | 16 | 62-65 | 34 |
| „საპოვნ.“ | 37 | 14 | 6 | 17 | 65-76 | 34 |
| სპი | 36 | 13 | 8 | 15 | 74-77 | 34 |
| „ბახტრ.“ | 37 | 8 | 7 | 22 | 47-78 | 23 |
| „არაგვი“ | 36 | 5 | 6 | 25 | 43-88 | 16 |

# ვეტერანი ფეხბურთელები ისრაელში

ისრაელში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ლ. იაშინი, კ. ბესკოვი, ი. ნეტო, ა. ჩივაძე, ვ. კოლოტოვი, ვ. პილგუი, ე. ლოვჩევი, გ. ჰუსაინოვი, მ. გერშკოვიჩი, ვ. ბუბუკინი და სხვანი.

პირველი შეხვედრა ისრაელისა და სსრ კავშირის ვეტერანთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 2:2. საბჭოთა ფეხბურთელებს ამ ქვეყანაში დაგეგმილი აქვთ კიდევ ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

ჩატარდა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### ინგლისი

მე-18 ტური. „ქოვენთრი“ — „საუთჰემპტონი“ 1:0, „კრისტალ პალასი“ — „ლუთონი“ 1:1, „დერბი“ — „მანჩესტერ სიტი“ 6:0, „ევერტონი“ — „ჩელსი“ 0:1, „მილუოლი“ — „არსენალი“ 1:2, „ნორვიჩი“ — „ასტონ ვილა“ 2:0, „ქუინს პარკი“ — „ლივერპული“ 3:2, „შეფილდი“ — „ჩარლტონი“ 3:0, „ტოტენჰემი“ — „უიმბლდონი“ 0:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ნოტინგემი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 18 | 20-10 | 25 |
| „არსენალი“ | 18 | 23-15 | 24 |
| „ლივერპული“ | 12 | 25-12 | 21 |

### ბელგია

მე-12 ტური. „ლოკერენი“ — „ეკერენი“ 2:1, „სერკლი“ — „მეჰელენი“ 0:0, „ვარეგემი“ — „ბევერენი“ 4:0, ანტვერპენი“ — „ლიერსი“ 4:1, „რესინგი“ — „ბრიუგე“ 1:2, „ანდერლეჰტი“ — „გენტი“ 0:1, „სენტ ტრუდენი“ — „კორტრიკი“ 1:1, „ბეერშოტი“ — „სტანდარდი“ 0:3, „ლიეჟი“ — „შარლერუა“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეჰტი“ | 12 | 27-4 | 19 |
| „მეჰელენი“ | 12 | 20-4 | 18 |
| „ანტვერპენი“ | 12 | 25-10 | 17 |

### ჩეხოსლოვაკია

მე-11 ტური. „დუკლა“ — „დუნაისკა სტრედა“ 5:0, „ბანიკი“ — „სლავია“ 0:0, „სპარტაკი“ — „სპარტა“ 0:1, „ზბროიოვკა“ — „რუდა ჰვეზდა“ 3:1, „პლასტიკა“ — „ბანსკა ბისტრიცა“ 5:1, „ინტერი“ — „სლოვანი“ 0:1, „ბოჰემიანსი“ — „სიგმა“ 2:0, „პოვ. ბისტრიცა“ — „ვიტკოვიცე“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა“ | 9 | 11-8 | 15 |
| „სლოვანი“ | 11 | 10-6 | 14 |
| „ბანიკი“ | 10 | 14-10 | 14 |

### ბრაზილია

„ფლამენგო“ — „ვასკო და გამა“ 2:0, „ატლეტიკო მინეირო“ — „ფლუმინენსე“ 2:0, „სანტოსი“ — „ინტერი რასიფე“ 2:1, „სან პაულუ“ — „პალმეირასი“ 2:2, „გოიასი“ — „ბოტაფოგო“ 0:2, „კორინტიანსი“ — „კრუზეირო“ 0:1, „პორტუგეზა“ — „ინტერი სან-პაულუ“ 2:0.

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| „ატლეტიკო“ (მინეირო) | 15 |
| „კორინტიანსი“ | 15 |
| „ბოტაფოგო“ | 14 |
| „ნაუტიკო“ | 14 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| „პალმეირასი“ | 17 |
| „პორტუგეზა“ | 15 |
| „ვასკო და გამა“ | 15 |

### იუგოსლავია

მე-14 ტური. „პარტიზანი“ — „სელიკი“ 6:4, „რადი“ — „დინამო“ 0:2, „ოლიმპია“ — „ცრვენა ზვეზდა“ 1:1 (6:5), „ბორაცი“ — „ვარდარი“ 2:0, „სარაევო“ — „სუბოტიცა“ 3:3 (5:7), „რადნიჩკი“ — „ჟელეზნიჩარი“ 1:0, „რიეკა“ — „ვოივოდინა“ 2:0, „ველეჟი“ — „ჰაიდუკი“ 1:0, „ბუდუჩნოსტი“ — „სლობოდა“ 0:1.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო“ | 14 | 19 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 14 | 18 |
| ჰაიდუკი“ | 14 | 15 |

### საფრანგეთი

მე-19 ტური. „სენტ ეტიენი“ — „ლილი“ 2:1, „კაენი“ — „მარსელი“ 0:2, „ბრესტი“ — „რესინგი“ 2:0, „მონაკო“ — „მონპელიე“ 1:0. „კანი“ — „მეცი“ 1:0, „ბორდო“— „ნიცა“ 3:0, „სენ ჟერმენი“ — „ტულუზა“ 0:1, „მულუზი“ — „ნანტი“ 0:2, „ოსერი“ — „ლიონი“ 0:1, „ტულონი“ — „სოშო“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო“ | 19 | 29-6 | 30 |
| „მარსელი“ | 18 | 33-16 | 26 |
| „ტულუზა“ | 19 | 23-16 | 22 |

### შვეიცარია

მე-18 ტური. „არაუ“ — „სიონი“ 2:1, „ბელინცონა“ — „გრასჰოპერსი“ 4:2, „ლუცერნი“ — „ლუგანო“ 3:0, „სენტ გალენი“ — „ვეტინგენი“ 3:0, „ლოზანა“ — „ქსამაქსი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ გალენი“ | 18 | 36-21 | 2[illegible] |
| „ქსამაქსი“ | 18 | 34-27 | 2[illegible] |
| „სიონი“ | 18 | 27-24 | 2[illegible] |

### გდრ

მე-10 ტური. „დინამო“ (დრეზდენი) — „მაგდებურგი“ 3:1, „დინამო“ (ბერლინი) — „ეიზენჰუტენშტადტი“ 0:0, „კარლ ცეისი“ — „ფორტშრიდი“ 1:0, „ჰემი“ — „როვაისი“ 3:0, „კარლ-მარქს-შტადტი“ — „ვისმუტი“ 1:0, „ჰანზა“ — „ლოკომოტივი“ 3:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო“ (დრეზდენი) | 10 | 18-7 | 16 |
| „მაგდებურგი“ | 10 | 16-8 | 15 |
| „ენერგია“ | 10 | 16-11 | 14 |

(საქ. ინფ.)

# ქეთევან კახიანი ქალებს იკრებს

ასეთი წარუმატებელი სტარტი ქეთევან კახიანის გულშემატკივრებს არ ახსოვთ: საკავშირო ჩემპიონატის პირველი ორი ტურის შემდეგ თბილისელი საერთაშორისო ოსტატის გასწვრივ გრაფაში ორი ნული ეწერა. ვინც ჩვენს ნიჭიერ მოჭადრაკეს არ იცნობს, მისთვის ეს მართლაც, საგანგაშო შემთხვევაა. თუმცა, კახიანი ხომ სწორედ შეუპოვრობით, მტკიცე ნებისყოფით გამოირჩევა. წარუმატებლობის შემდეგ სპორტული სიბრაზე მძლავრობს მასში, რაც ასე ეხმარება ძალების მოკრებაში. და აი, ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე — ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ქეთევანმა სული მოითქვა, III ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა, ხოლო IV-V ტურებში სასურველი „ერთიანები“ შემატა თავის მეტად მწირ აქტივს. V ტურში მან რიგის ოსტატ ანდა შაფრანსკას სძლია. ქართველი მოჭადრაკისთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ხელიდან არ გაუშვებს ამ მომენტს, უფრო ყურადღებით, შეუპოვრად ითამაშებს და სასურველ შედეგსაც მიაღწევს. მოჭადრაკე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ხომ ჯერ კიდევ დიდი გზაა — მთელი 12 ტური.

V ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: დიომინა — ხარკოვა 1:0, ჩიოლუშკინა — უმანსკაია 1:0, შერემეტიევა — ველიხანლი 1:0, სემიონოვა — უსკოვა 1:0, სიტნიკოვა — სახაროვა 1:0, დომკუტე — პრუდნიკოვა 0:1, ლელჩუკ-პოპოვა — სოფიევა 0,5:0,5. გადაიდო კოზლოვსკაია — ნეპეინას შეხვედრა.

5 ტურის შემდეგ 4 ქულით შეჯიბრებას ლენინგრადელი საერთაშორისო ოსტატი ნ. სიტნიკოვა ლიდერობს. 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ბალაკოვოელ საერთაშორისო ოსტატს ს. პრუდნიკოვას. 3,5-3,5 ქულა აქვთ ა. სოფიევას (ბაქო, ს. ო.), ი. ჩიოლუშკინას (ლვოვი, ს. ო.) და მ. შერემეტიევას (კიშინიოვი, ო), 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს ლ. სემიონოვამ (კიევი, ს. დ.), ქ. კახიანმა, ე. ხარკოვამ (მოსკოვი, ო.), ი. დიომინამ (ნოვოსიბირსკი, ს. ო.), ი. დომკუტემ (შიაულიაი, ო. კ.) და ზ. ლელჩუკ-პოპოვამ (ვოროშილოვგრადი, ს. დ.), ოღონდ სემიონოვას ერთი გადადებული პარტიაც აქვს.

# მსოფლიო ჩემპიონი მიზანთან ახლოსაა

იმისათვის, რომ პროფესორ ელოს კოეფიციენტთა შკალის პირველმა გრაფამ 2800-ს მიაღწიოს, რაც ამ ცოტა ხნის წინ ბევრს არარეალურად მიაჩნდა, მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა დარჩენილ 4 შეხვედრაში 2,5 ქულა უნდა მოაგროვოს. სხვისთვის, შესაძლოა, ეს არცთუ იოლი იყოს, მაგრამ ვფიქრობთ, გარი კასპაროვი ძნელ ამოცანას დასძლევს — ხომ ბელგრადში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა სუპერტურნირში 7 ტურის შემდეგ 6 ქულა მოაგროვა და დამაჯერებლად ლიდერობს შეჯიბრებას. 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს არტურ იუსუპოვს, 4-4 ქულა მოაგროვეს ნაიჯელ შორტმა (ინგლისი), იოჰან ჰიარტარსონმა (ისლანდია) და იან ელვესტმა. საბჭოთა მოჭადრაკის სეხნიას, ჰოლანდიელ იან ტიმანს 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

# პელე ფეხბურთსა და თავის თავზე

„ფეხბურთის მეფე“ — პელე არგენტინაში შეხვდა ადგილობრივ ჟურნალისტებს და ჰქონდა მათთან გულახდილი საუბარი.

**● თქვენ, როგორც ცნობილია, გინდოდათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ამერიკაში ჩატარებულიყო. რით იყო ეს არჩევანი არგუმენტირებული?**

— ფეხბურთი არ არის ერთადერთი სპორტი, რომელიც ხალხს ართობს, ამიტომ კარგი იქნებოდა ეს თამაში ჩრდილოეთ ამერიკასაც „გაეცნო“. ეს პირველ რიგში მის პოპულარიზაციას შეუწყობდა ხელს.

**● როგორ გგონიათ, მოხდება თუ არა რაიმე მოულოდნელობა იტალიაში?**

— არაფერი. იტალიაში დომინირებულ პირობებში იქნება დაცვითი ფეხბურთი.

**● რას ემყარება თქვენი რწმენა?**

— მოთამაშეებს დღეს შეტევებისთვის მოედნის შუაგულში არ ჰყოფნით სივრცე.

**● მიგაჩნიათ თუ არა, რომ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები კვლავ უძლიერესნი არიან მსოფლიოში?**

— სამხრეთამერიკელებმა აზროვნება უნდა შეცვალონ, რომ არ ჩამორჩნენ საფეხბურთო ცხოვრებას.

**● თუ ანიჭებთ უპირატესობას ტექნიკურ ფეხბურთს?**

— არ უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერს ტექნიკა წყვეტს.

**● რომელი რეგიონი იქცევს ყველაზე მეტად თქვენს ყურადღებას?**

— წინათ ვამბობდით, რომ აფრიკასა და აზიას 100 წლით გავუსწარითო. ეს პროგნოზები სამწუხაროდ ნაჩქარევი გამოდგა.

**● რა გაქვთ მხედველობაში?**

— თუნდაც ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები თავის ჯგუფში არაბეთის ემირატებმა მოიგეს, ნიგერიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა 16 წლამდე ასაკის ჭაბუკებში, საუდის არაბეთის გუნდმა დაამარცხა შოტლანდიელები ჭაბუკთა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში. დაიმახსოვრეთ, რასაც ვამბობ: სულ მალე ბევრ საინტერესო სიახლეს ვნახავთ აზიისა და აფრიკის ფეხბურთში.

**● როგორი აზრისა ხართ ბრაზილიის ნაკრებზე?**

— ეს გუნდი მომწონს და ყველაფერი უფროსი მწვრთნელის სებასტიანო ლაზარონის დამსახურებად მიმაჩნია, იგი ინკოგნიტოდ ჩამოვიდა საუდის არაბეთიდან, სადაც საკმაოდ კარგი შედეგები ჰქონდა. თავდაპირველად, როგორც ჩვენში ხდება ხოლმე, იგი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მაგრამ მერე მდგომარეობა გამოკეთდა. ვფიქრობ, რომ ბრაზილიის დღევანდელი ნაკრები ტოლს არ დაუდებს მსოფლიოს არც ერთ უძლიერეს გუნდს.

**● ახლა 49 წლისა ხართ. რას აპირებთ მომავალში?**

— ვფიქრობ ძალები მოვსინჯო პოლიტიკურ სარბიელზე.

**● უფრო კონკრეტულად?**

— ჯერ არა ვარ მზად, რომ ჩავებ საპრეზიდენტო არჩევნების თვის ბრძოლაში, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ხუთი წლის შემდეგ ეს პოსტი დავიკავო.

**● ალბათ თქვენი პოპულარობის იმედი გაქვთ?**

— მარტო პოპულარობა ასეთ რთულ ბრძოლაში არ არის საკმარისი. პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა გამოირჩეოდეს სერიოზული და ორიგინალური იდეებით.

**● რომელ პოლიტიკურ პარტიას თანაუგრძნობთ?**

— ჩემს თავს სოციალისტად ვთვლი და გადაწყვეტილი მაქვს ჩამოვაყალიბო მემარცხენე ყაიდის პარტია. აი, ამ პარტიის დახმარებით ვაპირებ ბრძოლას პრეზიდენტობისთვის.

**● უახლოეს არჩევნებში რომელ კანდიდატს დაუჭერთ მხარს?**

— არც მემარჯვენე ცენტრისტთა კანდიდატი ფერნარდუ კოლორ დე მელიუ მომწონს და არც მისი მეტოქე, კონსერვატორი ბიზნესმენი სილვიო სანტოსი...

რამდენად საფუძვლიანია „ფეხბურთის მეფის“ პოლიტიკური პრეტენზიები, ძნელი სათქმელია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ 144 მილიონიან ბრაზილიაში პელეზე უფრო პოპულარული ადამიანი არ არის. თანაც ისინი ხუთი წლის შემდეგაც ამომრჩევლები იქნებიან.

(საქ. ინფ.)

## სიახლის ინიციატორები

პოპულარულმა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ ახლახან ადგილი დაუთმო მსოფლიოში განთქმული ორი საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტებს, რომლებსაც სურთ სიახლეები მოახდინონ ევროპის საკლუბო გათამაშებათა სისტემაში. ინიციატივით გამოდიან იტალიის „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი და მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი რამონ მენდოსა.

ორივე პრეზიდენტს სურვილი აქვს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და თასების მფლობელთა თასზე გათამაშებათა ფორმულაში მოხდეს ცვლილებები, რათა კონტინენტის ძლიერი კლუბები ერთმანეთს არ შეხვდნენ საწყის ეტაპებზე და ამის შედეგად გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე გზა არ გაიკაფონ შედარებით სუსტებმა. საამისო მაგალითები საკმაოდაა, რად ღირს, თუნდაც, ის, რომ წლევანდელ ჩემპიონთა თასის გათამაშების დასაწყისშივე, უკვე მეორე წრეში ერთმანეთს შეხვდნენ სწორედ „მილანი“ და „რეალი“, აგრეთვე, ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“ და რუმინეთის „სტიაუა“, სხვა წყვილებში კი ამ დროს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აშკარად სუსტი გუნდები.



პრეზიდენტთა წინადადებით უმჯობესია, თუ ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მონაწილენი დაიყოფიან წინასწარ ჯგუფებად, ამასთან, ავტორიტეტული, აღიარებული გუნდები სხვადასხვა ჯგუფებში გამოვლენ. პირველ ეტაპზე მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ორ-ორჯერ, გამარჯვებულები გავლენ მეოთხედფინალში, შემდეგ კი გათამაშება გაგრძელდება ჩვეულებრივი გამოთიშვითი წესით. ს. ბერლუსკონისა და რ. მენდოსას აზრით ჯგუფური ტურნირები გამორიცხავენ შემთხვევითობის ელემენტს და მეოთხედფინალშიც მხოლოდ უძლიერესნი მოხვდებიან, გარდა ამისა, ე. წ. სუსტი გუნდები 6-6 შეხვედრას ჩაატარებენ ძლიერ მეტოქეებთან, ეს კი ხელს შეუწყობს მათი თამაშის კლასის ამაღლებას. ახალ ფორმულას, ამტკიცებენ ისინი, სხვა დადებითი მხარეებიც აქვს.

ტურნირის ექო

„ლელოს“ ინტერვ

# საჭიროა თამაშის დონის ამაღლება

**როგორც** ვიუწყებოდით, ამ რამდენიმე დღის წინ ბათუმში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს სულიკო მებრელიშვილს.

● **ამ შეჯიბრებისადმი ინტერესი ბუნებრივი იყო — ბათუმში ხომ თავი მოიყარეს იმ მოჭადრაკეებმა, რომლებმაც ხვალ თუ ზეგ საქართველოს ინტერესები უნდა დაიცვან მაღალი დონის საკავშირო ტურნირებში, მაგრამ გთხოვთ, სანამ ჩვენს წამყვან ნორჩ მოჭადრაკეებზე იტყოდეთ, ჯერ მოკლედ გვითხარით გოგონათა და ჭაბუკთა შეჯიბრებების მიმდინარეობის შესახებ.**

— ორივე ამ ტურნირს წინ უძღოდა სხვადასხვა შესარჩევი შეჯიბრება, რომელთა მიზანი იყო ყველა უძლიერესი ნორჩი მოჭადრაკის გამოვლენა და მათი დღევანდელი მზადყოფნის შემოწმება. ახლანდელ ჩემპიონატს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით თუნდაც იმიტომ, რომ გაისად მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში მოგველის მონაწილეობა. ჭაბუკთა შორის მართლაც საუკეთესო შემადგენლობას მოვუყარეთ თავი — არ დარჩენილა არც ერთი პერსპექტიული მოჭადრაკე, ბათუმში რომ არ ეთამაშოს. გოგონათა შორისაც, ორიოდე გამონაკლისის გარდა, შეჯიბრებაში ჩაება ყველა წამყვანი მოჭადრაკე. როგორც გოგონები, ისე ჭაბუკები, დღეისთვის მიღებული 6-საათიანი რეგლამენტით თამაშობდნენ. კარგად გვესმის, რომ ასეთი რეგლამენტი მოსწავლეებისთვის საკმაოდ ძნელია, მაგრამ რადგან საკავშირო სპარტაკიადა ასეთნაირად ჩატარდება, საჭიროა წინასწარვე შეჩვევა. ვფიქრობ, ჩვენი მოჭადრაკეები ამას მოახერხებენ.

გოგონებში ერთი აშკარა ფავორიტი გვყავდა — ნინო ხურციძე, შეგახსენებთ, რომ მოსწავლეთა შარშანდელ ჩემპიონატში სწორედ მან გაიმარჯვა, წლეულს კი საქართველოს ჩემპიონი გახდა ქალთა შორის, ამდენად ხურციძეს ბათუმში ყველა შესაძლებლობა ჰქონდა პირველი ადგილისთვის ებრძოლა და ეს შეძლო კიდეც. მისი საბოლოო შედეგი ძალიან მაღალია — 15,5 ქულა 17 შესაძლებლიდან. მაგრამ ისე არ უნდა გამიგოთ, თითქოს აქ ჩემპიონის „იოლ გასეირნებასთან“ გვქონდა საქმე. პირიქით, მთელ რიგ შეხვედრაში ხურციძეს შეუპოვარი, მძაფრი წინააღმდეგობა გაუწიეს.

უდავო ზრდა ეტყობა ინგა ხურცილავას, რომელსაც 14 ქულით მეორე ადგილი დარჩა. თვალყურს ვადევნებ ინგას წლევანდელ გამოსვლებს, მის ვარჯიშსაც ბაკურიანის საკმაოდ ხანგრძლივ შეკრებაზე და ვხედავ, რომ იგი დიდი სერიოზულობით, მონდომებით მეცადინეობს. ჭადრაკში არაფერი ხდება შემთხვევით, ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს. ასე რომ, ხურცილავას წარმატება უდავოდ დამსახურებულად უნდა ჩაითვალოს. 12 ქულით მესამე ადგილზე გასულმა თამარ ფახჩულიამ სტარტზე განცდილი დამარცხებების შემდეგ მალე შეძლო ძალების მოკრება და საერთოდ უდავო წარმატებას მიაღწია. მსოფლიო ჩემპიონი 12 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ბათუმელი დიანა დარჩია, შეიძლება ითქვას, არათანაბრად თამაშობდა, იმპულსურად მოქმედებდა, ჩქარობდა. რა თქმა უნდა, მან მეტი უნდა იმუშაოს, გაისად ხომ ძალზე საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში ელის გამოსვლა. ამჯერად მას 11,5 ქულით მეოთხე ადგილი დარჩა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ფოთელმა თეა სახოკიამ (11 ქულით მეხუთე ადგილი), თბილისელებმა ნინო ღლონტმა და მაია ლომინეიშვილმა.

ჭაბუკთა პირველობის შემადგენლობის სიძლიერის თვალსაზრისით ალემატებოდა ჩვენს მიერ აქამდე ჩატარებულ მოსწავლეთა შეჯიბრებებს — ამჯერად 16 ოსტატობის კანდიდატი და 2 პირველთანრიგოსანი თამაშობდა. რაიმე მოულოდნელობა აქ არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, სენაკელი რომან სიჭინავა სათანადოდ არ მოემზადა ამ შეჯიბრებისთვის და თავისი წოდება ფაქტობრივად უბრძოლველად დათმო. საერთოდ, ჩვენი დაკვირვებით, ჭაბუკთა წლევანდელ შეჯიბრებებში აშკარად გამოირჩევა ორი მოჭადრაკე: ქუთაისელი შოთა კუჭუხიძე და თბილისელი მიხეილ კეკელიძე. ისინი მეტად სერიოზულად მუშაობენ, მთელი მონდომებით და შეუპოვრად თამაშობენ. ბათუმშიც ისე წარიმართა საქმე, რომ ჩემპიონობა ან ერთს უნდა დარჩენოდა, ან მეორეს. საბოლოოდ კუჭუხიძემ 17 შესაძლებლიდან 13,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით ჩამოიტოვა მეტოქე. როგორც კუჭუხიძის, ისე კეკელიძის წარმატება სავსებით დამსახურებულად უნდა ჩაითვალოს. 11,5-11,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს რომან სიჭინავამ და ბექა კვარაცხელიამ (თბილისი). 11-11 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება კახა ხაბურზანიამ (თბილისი) და ზურაბ იგრიაშვილმა (რუსთავი).

გოგონებშიც და ჭაბუკებშიც ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გვყავს, შეჯიბრებების საერთო დონე სისტემატიურად მაღლდება, მაგრამ ჯერ კიდევ განვიცდით კვალიფიცირებული მწვრთნელების დიდ ნაკლებობას. ზოგ მათგანს მიაჩნია, რომ მათი ამოცანა თეორიის სფეროში მუშაობა არ არის, მოსწავლეთა თამაშის სისტემატურ სრულყოფას სხვადასხვა საეჭვო ფესტივალებში გამოსვლა ჯობს, რომლებიც მრავლად იმართება ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. ასეთ შეჯიბრებებში გამოსვლა კი, ცოტა არ იყოს, თვალში ნაცრის შეყრას ჰგავს, რასაც ზოგიერთი მწვრთნელი არ ერიდება. ჩვენთვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვეგმაზომიერ, ყოველდღიურ მუშაობას, სერიოზულ ტურნირებში მონაწილეობას და არა სხვადას ქალაქებში გასეირნებას.

● **საქართველოს პირველო ბის ბათუმში გამართვა თავი რი ტრადიცია გახდა...**

— დიახ და ამას, ცხადია, მი ზეზიც აქვს. ბათუმში ბევრი კეთდება შეჯიბრებების კარგად სატარებლად და, საერთოდ, უძველესი საჭადრაკო ტრადიც ბის ასაღორძინებლად, რომელ აჭარას აქვს. ნუ დაგვავიწყდე რომ სწორედ აჭარაში არის სო ლები, სადაც დიდი და პატარა დრაკს თამაშობს. კარგა ხნის შ პოვარი მცდელობის შემდეგ თუმელ მოჭადრაკეებს გადაე შესაფერისი შენობა პიონერთა რკში, სულ ახლახან კი შესანი ვი საჭადრაკო კლუბი ზღვის რას, სადაც პირველხარისხოვ საერთაშორისო ტურნირების ჩა რებაც კი შეიძლება. ახლა სიტ ბათუმელ მწვრთნელებს ეკუთვ — პირობები აქვთ და ნიჭიე ახალგაზრდობაც უნდა დააწინა რონ.

● **რას იტყვით მოსწავლეთა მ მავალი საკავშირო სპარტაკიად შესახებ?**

— ეს შეჯიბრება აგვისტო ლენინგრადში ჩატარდება და ს რიოზული ამოცანების წინაშე გ ყენებს. გუნდის კანდიდატთა წ უკვე გამოვლენილი გვყავს. ახ საჭიროა მათთან შეუპოვარი მუ ობა თამაშის დონის ასამაღლებლ

## პროფესიონალების ჰონორარი

**ზაგრების** „სპორტსკე ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნა ცნობა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ვარსკვლავთა კონტრაქტების თაობაზე, რომელიც დააინტერესებს ჩვენს მკითხველებს.

პატრიკ ირვინგი — „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი“ 10 წელი, 32 500 000 დოლარი. დევიდ რობინსონი — „სან-ანტონიო სპერზი“, 8 წელი, 26 000 000, „მეჯიკ“ ჯონსონი — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ 8 წელი, 25 200 000. მაიკლ ჯორდანი — „ჩიკაგო ბულსი“, 8 წელი, 25 000 000, ლარი ბირდი, — „ბოსტონ სელტიქსი“, 4 წელი 12 000 000, აკიმ ოლაჯუონი — „ჰიუსტონ როკეტსი“, 14 წელი, 27 000 000, აიზია თომასი — „დეტროიტ პისტონსი“,



8 წელი, 16 000 000, კევინ დუგჰორტი — „პორტლენ თრეილ ბლეიზი“, 8 წელი, 16.000 000, დომინიკ უილკინსი — „ატლანტა ჰოუქსი“, 5 წელი, 14.500 000, კევინ ჯონსონი — „ფენიქს სანზი“, 7 წელი, 15.000 000, ჩარლ ბერკლი — „ფილადელფია-76“ 9 წელი, 19.000 000, ტერი პორტერი — „პორტლენდ თრეილ ბლეიზი“, 6 წელი, 15 000 000.

ასეთი ზღაპრული ჰონორარი ჭეშმარიტად ღირსეული ანაზღაურებაა იმ ბრწყინვალე ოსტატობისა, რომელსაც ნბას ჩემპიონატში უჩვენებენ და საუკეთესო სტიმულია ახალგაზრდობისათვის.

საინტერესოა რა ჰონორარს იღებენ ევროპელი პროფესიონალები. გაზეთის ცნობით, დრაჟენ პეტროვიჩსა და შარუნას მარჩიულონისს — სამწლიან კონტრაქტში მიახლოებით 4 000 000 დოლარი, ვლადო დივაცს ერთ სეზონში—700 000 დოლარი, ჟარკო პასპალს—350 000.

## ფოთელებმა — ყველაზე მეტი

**დაბრკოლებათა** ასმეტრიანი ზოლის გადალახვა, საიერიშო კიბით სამოსწავლო კოშკის მეოთხე სართულზე ასვლა, ორჭიდი, ესტაფეტა (4X100 მ) და სხვა დისციპლინები — ერთი სიტყვით, ტრადიციულად მრავალფეროვანი იყო სახანძრო-გამოყენებით სპორტში საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატის პროგრამა, რომელიც ამასწინათ ჩატარდა ქუთაისში.

საქართველოს მეხანძრეთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზეს ფოთელებმა ზ. შეროზიამ და ს. ბაირამდიმ, რომლებმაც ყველაზე მეტი ქულაც შესძინეს თავიანთ გუნდს. საბოლოოდ კი, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა IV ადგილი დაიკავეს 17 გუნდს შორის.

**ტრისტან მანია.**

ფოთი.

## ევროპის ტურნირების ფილისყრა

**მიუნხენში** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაში შედგა ევროპის საკლუბო ტურნირების მონაწილეთა წილისყრა.

როგორც ცნობილია, კიევის „ბუდეველნიკი“ ვერ გავიდა ჩემპიონთა თასის გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე და მონაწილეობას არ მიიღებს რვა უძლიერესი კლუბის ტურნირში. ეს ადგილი მან პოზნანის „ლეხს“ დაუთმო. პოლონელ კალათბურთელთა გარდა საპატიო პრიზისთვის იბრძოლებენ თასის მფლობელი „იუგოპლასტიკა“ (სპლიტი, იუგოსლავია), „მაკაბი“, (თელ-ავივი, ისრაელი), „ლიმოჟი“ (საფრანგეთი), „დირექტბანკი“ (ჰოლანდია), „ბარსელონა“ (ესპანეთი), „არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) და „ფილიპსი“ (მილანი, იტალია). ორწრიანი ასპარეზობის შემდეგ ოთხი უძლიერესი გუნდი ბრძოლას გააგრძელებს ფინალში, რომელიც 17-18 აპრილს ჩატარდება სარაგოსაში (ესპანეთი).

თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური ჯგუფები ასე დაკომპლექტდა: პირველი — „კნორი“ (ბოლონია, იტალია), „ჟალგირისი“ (კაუნასი, სსრ კავშირი), „სუნერი“ (ბელგია), „მაკაბი“ (რამატგანი, ისრაელი); მეორე — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი), „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია), „მიულუზი“ (საფრანგეთი), „პაოკი“ (სალონიკი, საბერძნეთი). ნახევარფინალში ჯგუფიდან გავა ორი უძლიერესი გუნდი. ფინალი შედგება 13 მარტს ფლორენციაში (იტალია).

„ჟალგირისი“ პირველ მატჩს ჩაატარებს 5 დეკემბერს ბოლონიაში ადგილობრივ „კნორთან“.

გაირკვა, აგრეთვე, კორაჩის თასის მეოთხედფინალური ჯგუფების შემადგენლობა. პირველი ჯგუფი — „ფონოლა“ (იტალია), „ბოსნა“ (სარაევო, იუგოსლავია), „ირაკლისი“ (სალონიკი, საბერძნეთი), ცსკა (სსრ კავშირი); მეორე ჯგუფი — „ეფესი“ (თურქეთი), „ჰაპოელი“ (ისრაელი), „პანიონისი“ (ათენი, საბერძნეთი), ასკ (ალმა-ათა, სსრ კავშირი); მესამე — „ენიმონტი“ (ლივორნო, იტალია), „ოლიმპია“ (ლიუბლიანა, იუგოსლავია), კაი (სარაგოსა, ესპანეთი), „შოლე“ (საფრანგეთი); მეოთხე — „სკავოლინი“ (იტალია), „ზადარი“ (იუგოსლავია), „ხუვენტუდი“ (ბადალონა, ესპანეთი), „პო-ორტეზი“ (საფრანგეთი).

ჯგუფური ტურნირები დაიწყება 6 დეკემბერს. ნახევარფინალში გავლენ გამარჯვებული გუნდები. ფინალური მატჩები გაიმართება მერმისს, 21 და 28 მარტს.

### „სპორტპროგნოზი“, 49-ე ტირაჟის პროგრამა (1-8 დეკემბერი)

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. | ასკ (ხაბაროვსკი) — „კუზბასი“ (კემეროვო) | 1.XII | 80 | 10 | 10 |
| 2. | „იუნოსტი“ (ომსკი) — „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი)) | 1.XII | 80 | 40 | 80 |
| 3. | „ენისეი“ (კრასნოიარსკი) — „სტარტი“ (გორკი) | 3.XII | 60 | 30 | 10 |
| 4. | „საიანი“ (აბაკანი) — „დინამო“ (ალმა-ათა) | 3.XII | 30 | 20 | 50 |
| 5. | „იუნოსტი“ (ომსკი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 3.XII | 10 | 50 | 40 |
| 6. | „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი) | 3.XII | 20 | 40 | 40 |
| 7. | „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — „დინამო“ (მოსკოვი) | 3.XII | 10 | 20 | 70 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 8. | „ჩეზენა“ (ჩეზენა) — „ინტერი“ (მილანი) | 3.XII | 10 | 30 | 60 |
| 9. | „კრემონეზე“ (კრემონა) — „იუვენტუსი“ (ტურინი) | 3.XII | 10 | 40 | 50 |
| 10. | „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „რომა“ (რომი) | 3.XII | 40 | 50 | 10 |
| 11. | „გენუა“ (გენუა) — „ვერონა“ (ვერონა) | 3.XII | 30 | 60 | 10 |
| 12. | „მილანი“ (მილანი) — „ბოლონია“ (ბოლონია) | 3.XII | 70 | 20 | 10 |
| 13. | „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „ატალანტა“ (ბერგამო) | 3.XII | 70 | 20 | 10 |

### ტაისონის მატ გადაიდ

მსოფლიო ჩემპიონ მაიკ ნისა და კანადელ პრეტენდენტ ზორ რადოკის მატჩი, რომელიც ემბერში ტორონტოში უნდა გა რთულიყო, გადაიდო. გამოცხად რომ იგი ამავე ქალაქში მერმის, 5 იანვარს შედგება.

ამავე დროს მსოფლიო ჩ ნმა დაადასტურა, რომ 12 ვალს ტოკიოში შეხვდება ამერ კელ პრეტენდენტ ბასტერ დუგ

### აველანჟი — საპატიო დოქტორ

ბუდაპეშტის უნივერსიტეტში მართული საზეიმო ცერემონია შედეგად ფიფას პრეზიდენტ ჟო აველანჟს (ბრაზილია) მიენიჭა ე ნომიკურ მეცნიერებათა დოქტო საპატიო წოდება.

### მინიატურებ

— პირადად მე ძალიანაც მწ გარდაქმნისა.

— ნუთუ მართლა?

— როგორ არა, „გურია“ უმ ლეს ლიგაშია, „ზენიტი“ პირველ

• • •

— რა ქენი, აღადგინე შვი უმაღლესში?

— არა, წელს „გურიას“ ჯე იყო.

• • •

— „გურიას“ ვინ უფრო მოუხ

— გურული.

**მზია მეგალიშვილ**

რედაქტო
თ. გაჩეჩილა

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფს ტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 5